



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №28

2018 წლის 2 მარტი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, დანართი №1-ის შესაბამისად განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უფლებამოსილების განსახორციელებლად გადასცეს ა(ა)იპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განვითარების ცენტრს“, უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია

1. ქ. ლაგოდეხში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, ადმინისტრაციული შენობა და მასზე დამაგრებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ს/კ 54.01.54.188);
2. ქ. ლაგოდეხში, კოსტავას ქ. N2-ში მდებარე, კულტურის სახლის შენობა და მასზე დამაგრებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 54.01.54.058);
3. ქ. ლაგოდეხში, წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე, კინოთეატრი „სინემა“, საერთო ფართი 1137,8 კვ.მ (ს/კ 54.01.54.057);
4. ქ. ლაგოდეხში, ვაშლოვანის ქ. N12-ში მდებარე, ყოფილი საბავშვო ბაღის ორსართულიანი შენობა, მასზე დამაგრებული 4842 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით (ს/კ 54.01.54.229);
5. ქ. ლაგოდეხში, ზაქათლის ქ. N25,,ა"-ში მდებარე, სპორტული კომპლექსი (ს/კ 54.01.54.340);
6. ქ. ლაგოდეხში, მ. კოსტავას ქ. N4-ში მდებარე შენობა (ს/კ 54.01.54.138);
7. ქ. ლაგოდეხში, წმ. ნინოს ქუჩაზე მდებარე სტადიონი „რანი“, (ს/კ 54.01.54.139);
8. სოფ. ჭიაურში მდებარე, ყოფილი ამბულატორიის შენობა (ს/კ 54.01.54.012);
9. სოფ. ჭაბუკიანში მდებარე, 24 345 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (სპორტული კომპლექსი, ს/კ 54.13.51.027);
10. ქ. ლაგოდეხში, ზაქათლის ქუჩაზე მდებარე, 600 კვ.მ. ფართის, ხელოვნურსაფარიანი, სპორტული მოედანი (ს/კ 54.01.51.045);
11. ქ. ლაგოდეხში, კუდიგორის ქუჩაზე მდებარე, 857 კვ.მ. ფართის, ხელოვნურსაფარიანი, სპორტული მოედანი (ს/კ. 54.01.54.083);
12. ქ. ლაგოდეხში, რუსთაველის ჩიხში მდებარე, 1138 კვ.მ. ფართის, ხელოვნურსაფარიანი, სპორტული მოედანი (ს/კ 54.01.56.160);
13. სოფ. ცოდნისკარში მდებარე, სპორტული კომპლექსი, 23 159 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ზედ განლაგებული შენობა-ნაგებობით (ს/კ 54.05.60.024);
14. ქ. ლაგოდეხში, მ კოსტავას ქ. N1-ში მდებარე, ყოფილი პოლიციის, ორსართულიან შენობაში (ს/კ 54.01.54.235), პირველ სართულზე არსებული 5 ოთახი, 114.93 კვ.მ. ფართი; ხოლო მეორე სართულზე არსებული 12 ოთახი, 173,75 კვ.მ.ფართი;
15. ქ. ლაგოდეხში, ზაქათლის ქ. N44-ში მდებარე შენობის (ყოფილი N2 საშუალო სკოლა), მესამე სართულზე მდებარე ორი ოთახი, 60.42 კვ. მ.(ს/კ 54.01.56.222).